ბრძანება:**ბ22. 222508470**

თარიღი:**25/03/2025**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია წესით საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის,35–ე მუხლის, ამავე კანონის 126^1-ე მუხლის მე–5 ნაწილის, აგრეთვე ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებისა და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე,54-ე და 57-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025 წლის 25 მარტიდან გამოცხადდეს საჯარო კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის წესით დანართის №1-ის შესაბამისად.

2.კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს საკონკურსო კომისიამ, ხოლო ვაკანტური თანამდებობის თაობაზე შეტყობინების მომზადება და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინიტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელმა.

3.ბრძანება საჯაროდ–გამოქვეყნდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრირებულ ვებგვერდზე WWW.zestafoni.gov.ge - ზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გველესიანი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი